



საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

№ 46 2009 წლის 20 იანვარი ქ. თბილისი

აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოში აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების კომპლექსურმა განხორციელებამ შედეგად გამოიღო ამ დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია, გამოვლენილ მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის სახელმწიფოს მიერ დროული და მრავალმხრივი დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფა, ამ დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება და დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება.

2003 წელს საქართველოში აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაციის შემდეგ ტრეფიკინგის წინააღმდეგ სრულყოფილი, ეფექტიანი ბრძოლისათვის მრავალმხრივი ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველოში 2006 წლიდან შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რამაც შექმნა ის სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც აღამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ

საქართველოს სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელებას ისახავს მიზნად.

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2006 წელს მიღებული საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭომ (შემდეგში - საკოორდინაციო საბჭო), ამავე კანონით განსაზღვრულმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა (შემდეგში - ფონდი) და საქართველოს ყველა სხვა სახელმწიფო სტრუქტურამ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელეს იმ ღონისძიებათა იმპლემენტაცია, რომელთა მეშვეობით საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა თვისობრივად ახალ, წარმატებულ ეტაპზე გადავიდა. ამ პროცესში აშკარად გამოიკვეთა საქართველოს სახელმწიფოს ლიდერობა და მისი ნება სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული, დისციპლინათაშორისი და ინტერსექტორული მიდგომით შეექმნა მდგრადი და მუდმივად განვითარებადი სისტემა.

ამ პროცესში განხორციელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის კვლევა. კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების ამაღლების ინსტიტუციონალიზაციის, კონკრეტული ტექნიკური ზომების გატარების, ეროვნული რეფერალური მექანიზმის შექმნის, ეფექტიანი გამოძიების დანერგვის, აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად გადაიდგა მთელი რიგი ნაბიჯები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენციის, მის მსხვერპლთა დაცვისა და ამ დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანი განხორციელების, ამ

სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზისა და პრეტიკის შემდგომი დახვეწის, საქართველოში მიგრაციისა და დასაქმების, ქვეყანაში სოციალური ფონის გაუმჯობესების საერთო კონტექსტში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მაქსიმალურად ეფექტიანი ბრძოლის გაგრძელების მიზნით დამტკიცდეს თანდართული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2009 – 2010 წლების სამოქმედო გეგმა.



 მინისტრის პირველი მოადგილე



აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის

2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა

ამოცანა	მიზანი	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	ინდიკატორები
1. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია.	1. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის არსისა და მასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ აღამიანთა ცნობიერების ამაღლება.	1.1. საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვა: ვიდეო რგოლების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების თემაგურად მომზადება.	საკოორდინაციო საბჭო საქართველოს სამოგადოებრივი მაუწყებელი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	სამოქმედო გეგმის (შემდეგში - გეგმა) განხორციელების განმავლობაში.	1.1. ცნობიერების ამაღლების კამპანიის ვიდეო რგოლების რაოდენობა და თემატიკის მრავალფეროვნება, რადიო და ტელე გადაცემების რაოდენობა და თემატიკის ნაირსახეობა. საინფორმაციო კამპანიის საფუძველზე მიღებული მომართვებისა და ცხელი ხაზის მეშვეობით შემოსული მარების რაოდენობა.

		<p>1.2. ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის მომზადება და გავრცელება სამოქალაქო რეესტრის, საქართველოს საკონსულო დაწესებულებების, საქართველოში მოქმედი გურისგული და დასაქმების სააგენტოების მიერ, საქართველოს სახელმწიფო სამღვარსა და გრეფიკინგის სხვა, პოტენციური რისკის მქონე რეგიონებში.</p>	<p>1.2. მომზადება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>გადაცემის ფორმაგით გათვალისწინების შემთხვევაში გელემაყურებელთა/ რადიომსმენელთა მიერ განხორციელებული მარების რაოდენობა.</p> <p>2010 წლის მაჩვენებელი: მეორე წლის შედეგების შედარება პირველი წლის შედეგებთან. პროგრესის მაჩვენებელი.</p> <p>1.2. მომზადებული ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის თემაგური ნაირსახეობების რაოდენობა.</p> <p>მომზადებული ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის საერთო რაოდენობა.</p> <p>გავრცელებული ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის რაოდენობა.</p> <p>ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის გავრცელების ადგილების რაოდენობა</p>
--	--	---	---	---

		<p>1.3. უმაღლესი და პროფესიული განათლების დაწესებულებებში საჯარო დისკუსიების გამართვა ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თემაზე.</p>	<p>გაერცელება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p> <p>1.3. საკოორდინაციო საბჭო, ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>		<p>1.3. ჩატარებული საჯარო დისკუსიების რაოდენობა -</p> <p>უმაღლესი და პროფესიული განათლების დაწესებულებების რაოდენობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც გაიმართა საჯარო დისკუსიები ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თემაზე.</p> <p>საჯარო დისკუსიების დამსწრეთა რაოდენობა.</p> <p>საჯარო დისკუსიის შედეგად გრეფიკინგის პრობლემასთან დაკავ-</p>
--	--	--	--	--	---

		<p>1.4. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი საგელეფონო ერთიანი ცხელი ხაზის პოპულარიზაცია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) პრევენციისა და ამ დანაშაულისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით.</p> <p>1.5. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) შესახებ შესაბამის უწყებათა ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციის განახლება და ვებგვერდების შესაბამისი განყოფილების შემდგომი დახვეწა.</p>	<p>1.4. ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p> <p>1.5. ფონდი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p>	<p>შირებით გამრდილი ცნობიერების გამოშვება შესაბამისი კითხვარების მეშვეობით.</p> <p>1.4. ცხელი ხაზის მეშვეობით შემოსული მარების რაოდენობა.</p> <p>აღრიცხულ მარებზე შესაბამისი რეაგირების სტატისტიკა.</p> <p>1.5. ვებგვერდებზე მიღებული ინფორმაციის დახმარებით ცხელ ხაზზე შემოსული მარების რაოდენობა.</p> <p>ვებგვერდების მომხმარებელთა მარკეტინგული.</p>
--	--	---	---	---

	<p>2. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) აღკვეთისა და მსხვერპლთა რეფერირების სტანდარტების გაცნობა და დახვეწა</p>	<p>2. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სპეციალური გრენინგების ჩატარება შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისათვის, მათი მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) მესაზღვრეები; ბ) უბნის ინსპექტორები; გ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლები; დ) საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლები; ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები; ვ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლები, მათ შორის, სოციალური მუშაკები; ზ) სასჯელაღსრულების სისტემის მუშაკები; თ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მუშაკები. 	<p>2. ფონდი, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>გეგმის განხორციელების განმავლობაში</p>	<p>ჩატარებული გრენინგების რაოდენობა (მინიმუმ 1 გრენინგი თითოეული მიზნობრივი ჯგუფისათვის ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში).</p> <p>გრენინგების ჩასატარებლად მომზადებული მასალა.</p> <p>გრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა.</p> <p>გრენინგებში მონაწილეთა შეფასება-გეგმა</p>
--	--	---	---	---	---

	<p>3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის თავიდან აცილების საშუალებების გაცნობა არასრულწლოვანთათვის</p>	<p>3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და სრულყოფა:</p> <p>ა) მოგაღსაგანმანათლებლო ეროვნულ სასწავლო გეგმაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ არსებული საგანმანათლებლო სტანდარტების დახვეწა.</p> <p>ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ სამოღსაგანმანათლებლო გაკვეთილის მოდულის საფუძველზე სპეციალურად მომზადებული მასწავლებლებისა და მოწვეული ექსპერტების მიერ მოგაღსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარება განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე რეგიონებში.</p> <p>გ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და პილოტირება/დანერგვა ობოლ</p>	<p>3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამოუკიდებელ ექსპერტებთან თანამშრომლობით).</p>	<p>გეგმის განხორციელების განმავლობაში</p>	<p>დახვეწილი საგანმანათლებლო პროგრამები.</p> <p>სრულყოფილი საჩვენებელი გაკვეთილის მოდული.</p> <p>სპეციალურად მომზადებული მასწავლებლების რაოდენობა.</p> <p>სპეციალურად მომზადებული მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა.</p> <p>მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა.</p> <p>საქართველოს იმ რეგიონების რაოდენობა, სადაც ჩატარდა გაკვეთილები.</p> <p>გაკვეთილებზე დამსწრე მოსწავლეთა რაოდენობა.</p> <p>საჩვენებელი გაკვეთილის ჩატარების შედეგად ტრეფიკინგის პრობლემასთან დაკავ-</p>
--	---	---	---	---	---

		<p>და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებისა და თავშესაფრებში.</p>			<p>შირებით მოსწავლეთა გამრდილი ცნობიერების გამოშვება შესაბამისი შეფასება-გეგმის/კითხვარების მეშვეობით.</p> <p>ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებისა და თავშესაფრების რაოდენობა, სადაც ჩაგარდა საგანმანათლებლო ღონისძიებები. შესაბამისი გაკვეთილებისათვის მომზადებული საგანმანათლებლო მასალა.</p>
	<p>4. ადამიანით ვაჭრობის (გრეფინგის) გამოვლენილი შემთხვევების ანალიზი შემდგომი სტრატეგიის განსაზღვრის და საქმიანობის დაგეგმვის მიზნით.</p>	<p>4.1. ადამიანით ვაჭრობის (გრეფინგის) საკითხებზე კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ჯგუფის საქმიანობის დახვეწა.</p> <p>4.2. კვლევითა წლიური ანგარიშების შეჯამება, მათ შორის, გადაცემათა რეგინგის კვლევა, გენდენციების გამოვლენა და სამომავლო</p>	<p>4. ფონდი, საკოორდინაციო საბჭო (დაინტერესებულ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>გეგმის განხორციელების განმავლობაში და</p>	<p>კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა.</p> <p>კვლევითი საქმიანობის დასახვეწად სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისათვის შემუშავებული დოკუმენტები.</p> <p>ჩაგარებული თემატური კვლევების რაოდენობა.</p> <p>კვლევებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული</p>

		<p>საქმიანობის გამოკვეთა.</p> <p>4.3. არასრულწლოვნებით ვაჭრობის (გრეფიკინგის) გამომწვევი მიზეზებისა და მასშტაბების კვლევა.</p> <p>4.4. გრეფიკინგის შემთხვევების აღმსახველი მონაცემთა ბაზის დახვეწა.</p>			<p>ნებული ინფორმაციის რაოდენობა.</p> <p>კვლევებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ინფორმაციის გავრცელების არეალი.</p> <p>მონაცემთა სრულყოფილი ბაზა.</p>
<p>2. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვა.</p>	<p>5. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა კანონმდებლობით დადგენილი დაცვის საშუალებების გაძლიერება.</p>	<p>5.1. შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება კანონმდებლობაში ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის შესახებ.</p> <p>5.2. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევაში დაზარალებულისა და მოწმის</p>	<p>5.1. საქართველოს მთავრობა, საკოორდინაციო საბჭო, ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p> <p>5.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ფონდი.</p>	<p>გეგმის განხორციელების განმავლობაში</p>	<p>საკანონმდებლო ანალიზის დოკუმენტი.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილების პროექტი.</p> <p>საჯარო შეხვედრები და დისკუსიები საკანონმდებლო ცვლილების საჭიროების გამოფენის შემთხვევაში შესაბამისი საკითხის შესახებ.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში დაცვის სპეციალური</p>

		<p>მიმართ, საჭიროების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის პროცესის განმაჯობაში და დასრულების შემდეგ დაცვის სპეციალური ზომების აქტიურად გამოყენების ხელშეწყობა.</p> <p>5.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენილ მსხვერპლთა/დაზარალებულთა მიმართ შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების უფექტიანი განხორციელება.</p>	<p>5.3. ფონდი, საქართველოს მთავრობა</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>		<p>ღონისძიებების გამოყენების თაობაზე დადებითად გადაწყვეტილ საქმეთა რიცხვი და დაცვის სპეციალური ზომების გამოყენების შესახებ სტატისტიკა.</p> <p>ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეინტეგრაციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გაგარების სტატისტიკა – შესაბამის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა</p>
	<p>6. ეროვნული რეფერალური მექანიზმის დახვეწა.</p>	<p>6. ეროვნული რეფერალური მექანიზმით გათვალისწინებული თანამშრომლობის კოორდინაციის სრულყოფა და განვითარება.</p>	<p>6. საკოორდინაციო საბჭო, ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>გეგმის განხორციელების განმაჯობაში</p>	<p>ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა.</p> <p>ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებისა და რეაბილიტაციის პროცესში</p>

	<p>8. მუდმივმოქმედი ჯგუფის საქმიანობის შემდგომი დახვეწა.</p>	<p>8. არასრულწლოვანთა სამუშაოდ მუდმივმოქმედი ჯგუფისა და მობილური ჯგუფების წევრების მომზადება სპეციალური მოსამზადებელი პროგრამით</p>	<p>8. ფონდი, სააკორდინაციო საბჭო. (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>გეგმის განხორციელების განმავლობაში</p>	<p>ჩატარებული წვრთნების რაოდენობა. მუდმივმოქმედი ჯგუფისა და მობილური ჯგუფების მომზადებულ წევრთა რაოდენობა. გრენინგისათვის მომზადებული მასალა.</p>
	<p>9. ადამიანთ ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა სამშობლოში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა.</p>	<p>9.1. ადამიანთ ვაჭრობის (გრეფიკინგის) საქართველოს მოქალაქე/საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე მსხვერპლთა/დაზარალებულთა სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნების ხელშეწყობა. 9.2. მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების გაფართოება. 9.3. უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე</p>	<p>9.1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 9.2. ფონდი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით). 9.3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ფონდი, საქართველოს</p>	<p>გეგმის განხორციელების განმავლობაში</p>	<p>დაბრუნებულ იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა. რეაბილიტირებულ იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა. რეინტეგრაციის პროგრამების და ამ მიზნით შეთავაზებული მომსახურების რაოდენობა და გამოყენების სტატისტიკა.</p>

		<p>აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა საქართველოდან წარმოშობის სახელმწიფოში ნებაყოფლობითი უსაფრთხო დაბრუნების ხელშეწყობა.</p>	<p>ფინანსთა სამინისტრო (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>		<p>დაბრუნებულ იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა.</p>
<p>3. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დევნა</p>	<p>10. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) გამოძიების გაქტივისა და მეთოდის შემდგომი განვითარება აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის კონკრეტული ფორმების მიხედვით</p>	<p>10.1. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სპეციალური გრენინგების ჩატარება არასრულწლოვანთა, შრომითი, სექსუალური ექსპლოატაციის ფორმების თავისებურებათა გათვალისწინებით, სისხლის სამართლებრივი დევნის უახლესი მეთოდების შესახებ შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისათვის:</p> <p>ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები;</p> <p>ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები;</p> <p>გ) მოსამართლეები.</p>	<p>10.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს უმაღლესი საბჭო (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>გეგმის განხორციელების განმაჯობაში</p>	<p>10.1. ჩატარებული გრენინგების რაოდენობა.</p> <p>გრენინგების თემატიკა.</p> <p>გრენინგებისათვის მომზადებული მასალა.</p> <p>გრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა.</p> <p>გრენინგების მონაწილეთა შეფასება-გეგმა.</p>

		<p>10.2. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) საქმეებზე ადუოკატთა შექმნა სამართლებრივი უზრუნველყოფის დახვეწის მიზნით.</p> <p>10.3. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) საქმეებზე მომუშავე გრენინგები წლოვან ლებულთა სპეციფიკის წინებით.</p> <p>10.4. სხვა სახელმწიფოთა სამართალ-დამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა</p>	<p>10.2. ფონდი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</p> <p>10.3. საკოორდინაციო საბჭო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p> <p>10.4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p>		<p>10.2. ადუოკატთა მონაცემთა ბაზა.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში, მონაცემთა ბაზის კვარტალური განახლება.</p> <p>10.3. გრენინგების რაოდენობა.</p> <p>გრენინგების თემატიკა.</p> <p>გრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა.</p> <p>გრენინგისათვის მომზადებული მასალა.</p> <p>გრენინგების მონაწილეთა შეფასება-გეგმა.</p> <p>10.4. სისხლის სამართლის საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში ინიცირებულ (საქართველოდან გაგზავნილ) შუამდგომლობათა რაოდენობა უცხო ქვეყანაში სისხლის სამართლის პროცესში სამართალე-</p>
--	--	---	---	--	---

		10.5. საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების საკითხებში.	10.5. საკოორდინაციო საბჭო, ფონდი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.	ბრივი დახმარების აღმოჩენის თაობაზე. 10.5. უცხო ქვეყნების ადმინისტრაციებთან ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებზე ზოგადი სამართლებრივი ინფორმაციის გაცემა.
--	--	---	---	---

შენიშვნა: სამოქმედო გეგმის განხორციელების მაკოორდინირებელი ორგანო არის საკოორდინაციო საბჭო. გეგმაში მითითებულ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს გეგმის განხორციელებისას ეკისრებათ თანაბარი პასუხისმგებლობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. გეგმის შესრულების შესახებ საკოორდინაციო საბჭოს თითოეული სახელმწიფო უწყება წარუდგენს კვარტალურ ანგარიშს.